2022 წლის პერიოდში ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში

ა(ა)იპ ონის მუიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლმა , 2022 წელს არსებული სხვადასხვა გარემოებების შესაბამისად (პანდემიის მიმდინარე პროცესები) , შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული ღონისძიებათა გეგმა და მასზე მორგებული ბიუჯეტი, რომელმაც წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად განიცადა მრავალჯერადი ცვლილება , შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასვენების , გართობის , ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის უზრუნველყოფის, თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარებისათვის მაქსიმალური ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი 2022 წელს მოსახლეობას სთავაზობდა შემდეგ მომსახურებას: დასვენების, გართობის, ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის უზრუნველყოფის, თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარებისათვის შესაბამის მომსახურებას და ღონისძიებებს, მათ შორის:

__ მაქსიმალურად ცდილობდა ქვეყნისა თუ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების, თარიღების აღნიშვნასა და მოსახლეობის ჩართვას წარმოდგენილ ღონისძიებებში.

__ აწყობდა თემატურ საღამოებს, შეხვედრებს მოყვარული შემოქმედი ადამიანების ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოსაჩენად და დამსახურებული პიროვნებების ღვაწლის დასაფასებლად.

__ მომავალი თაობის კულტურულ-შემოქმედებითი აღზრდა-განვითარებისათვის გახსნილია ფასიანი და უფასო შემოქმედებითი წრეები.

__ მთელი წლის განმავლობაში კულტურის სახლის სოციალურ გვერდზე (facebook) ქვეყნდებოდა წარმატებების აღმნიშვნელი პოსტები , ღვაწლმოსილი ადამიანების შესახებ რუბრიკები და ა.შ.

__კულტურის სახლმა 2022 წელს ჩაატარა 11 დაგეგმილი და 11 დაუგეგმავი ღონისძიება, მასპინძლობა გაუწია ორ შემოქმედებით კოლექტივს (ლეო ფილფანის სახელობის მესტიის კულტურის სახლს და რუსთაველის სახელმწიფო თეატრს).

__მონაწილეობა მიიღო სახალხო ზეიმში „ონელობა 2022“, „თბილისობა 2022“, „ლეჩხუმობა 2022“, ფოლკლორული ფესტივალის პირველ და მეორე ტურში.

გთავაზობთ ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალს:

იანვარი

- 2 იანვარს კულტურის სახლის საესტრადო და ქორეოგრეოგრაფიული წრის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ღია ცის ქვეშ მოწყობილ კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელებულ საახალწლო კონცერტში.

- 14 იანვარს ტრადიციულად აღინიშნა ქართული თეატრის დღე დიდ დარბაზში, რომელიც მიეძღვნა ონის სახალხო თეატრის ღვაწლმოსილ იუბილარ მსახიობებს (ნუკრი გამყრელიძე, ელეონორა ნანიშვილი, იზოლდა გამყრელიძე, ნაზიბროლა მაისურაძე, ავთანდილ გავაშელი, ზურაბ

ბურდილაძე და ეკატერინე რეხვიაშვილი). ამავე დღეს საზეიმოდ გაიხსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტის, გიგა ჯაფარიძის ბიუსტი.

- 30 იანვარს კულტურის სახლში გაიხსნა „ზუმბა ფიტნესის“ წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს თინათინ ჩიხრაძე.

თებერვალი

- თებერვლის და მარტის თვე ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე დისტანციურ რეჟიმში წარიმართა. შემოქმედებითი წრეების მუშაობა დროებით შეჩერდა. თუმცა კულტურის სახლის ფეისბუქ გვერდზე ხდებოდა ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალის წარდგენა (23 თებერვალი,3 და 8 მარტი, 23 მარტი -თეტრის საერთაშორისო დღე).

მარტი

- 11 მარტს ჩატარდა ე.წ. „ქასთინგი“ თეატრალურ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველთათვის. რეჟისორმა ნინო ბერელიძემ დაიწყო სპექტაკლზე მუშაობა;

აპრილი

- 9 აპრილი - მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიება არ გვქონდა დაგეგმილი, მაყურებელს წარვუდგინეთ მეტად შთამბეჭდავი საღამო, რომელიც მიეძღვნა 9 აპრილს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. ღონისძიებაში მონაწილეობდა კულტურის სახლის ყველა შემოქმედებითი კოლექტივი.
- 14 აპრილს, კულტურის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა „დედა ენის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასცენო მეტყველებისა და საესტრადო წრის აღსაზრდელებმა.

- 28 აპრილს კულტურის სახლმა უმასპინძლა ლეო ფილფანის სახელობის მესტიის კულტურის ცენტრს, რომელმაც ონელ მაყურებელს შესთავაზა თოჯინური სპექტაკლი „უშბა და თეთნულდი“;

მაისი

- **10 მაისს, „**ევროპის დღეებთან“ დაკავშირებით ონის კულტურის სახლში გაიმართა ფილმის "ევროპა საქართველოში-დიუმას ნაკვალევზე" ჩვენება.

- **20 მაისს** კულტურის სახლმა მონაწილეობა მიიღო ონის საჯარო სკოლის ბოლო ზარის ღონისძიებაში (აპარატურა, ქორეოგრაფიული, ხალხური და საესტრადო წრე);

- **26 მაისს** ქალაქ ამბროლაურში გამართულ საერთო სახალხო დღესასწაულზე, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მონაწილეობა მიიღო შალვა ჯაფარიძის სახელობის ფოლკლორულმა ანსამბლმა „რაჭამ“.

- **30-31 მაისს** კულტურის სახლში გაიმართა მოყვარული ბავშვების მონაწილეობით პრემიერა სპექტაკლისა „ლილეი“. დამდგმელი რეჟისორი - ნინო ბერელიძე.

ივნისი

- **1 ივნისს** კულტურის სახლმა უმასპინძლა და ორგანიზება გაუწია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონცერტს, რომელშიც სხვა შემოქმედებით ა(ა)იპ - ებთან ერთად მონაწილეობდნენ კულტურის სახლის აღსაზრდელები.
- **27 ივნისს** კულტურის სახლის სცენაზე წარმოდგენილი იქნა თეტრალური კომპოზიცია „გაფრთხილებდი“, რომლის სცენარიც შეიქმნა მურმან ლებანიძის პოეზიის საფუძველზე და მიეძღვნა ბატონ მურმან ლებანიძის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს.
- აღნიშნული საღამო უნდა გამართულიყო ასევე სოფელ ღებში. სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო საღამო გადაიდო, ჩატარდა ოქტომბრის თვეში და მასპინძელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ივლისი

- **2 ივლისს,** საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირისა და ონის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით, კულტურის სახლში გაიმართა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი- „კავკასია 2022“ . კულტურის სახლმა უმასპინძლა 16 ქორეოგრაფიულ ანსამბლს და ონელებს დაუვიწყარი საღამო შესთავაზა.
- **16-21 ივლისის** ჩათვლით ანსამბლი „ორბა“ მონაწილეობას იღებდა ქალაქ ქობულეთში გამართულ „ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში“, სადაც დამსახურებული ჯილდო მოიპოვა. წარმატების სიგელები ჩვენს მოცეკვავეებს გადასცეს ანსამბლ „ერისიონის“ მოცეკვავეებმა.
- **24 ივლისს** ანსამბლმა „რაჭამ“ ტრადიციულად მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფესტივალში „არტ-გენი“. სადაც განახლებული და საინტერესო პროგრამით წარსდგა.
- **29 ივლისს** კულტურის სახლმა უმასპინძლა შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლს.
- **31 ივლისს** სტარტი აიღო პროექტმა „საყმაწვილო კინო სკოლა“. კინო სკოლის პროექტის ფარგლებში 30 ონელი მოსწავლე გაეცნო და დაეუფლა კინოფილმის შექმნის პროცესს. მოსწავლეებმა გადაიღეს სამი ფილმი, რომლის წარდგენა მოხდა 13 აგვისტოს კულტურის სახლის დიდ დარბაზში მოსწავლეებს საზეიმოდ გადაეცათ სერთიფიკატეები და საერთაშორისო საყმაწვილო კინოფესტივალზე „ ოქროს პეპელა“ სადაც ფილმმა „როცა ვერთობოდით“ მოიპოვა პრიზი საუკეთესო მონტაჟისთვის, ბარბარე გაგნიძემ კი მოიპოვა პრიზი „საუკეთესო მსახიობი გოგონა“. პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცა ფესტივალის სიგელები.ეს ფილმები ასევე მონაწილეობას მიიღებენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო საყმაწვილო კიოფესტივალებში.

აგვისტო

- **9 აგვისტოს** კულტურის სახლში ჩატარდა დამსახურებული პედაგოგის, შუქურა ჯაფარიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და წიგნის პრეზენტაცია;
- **10აგვისტოს** კულტურის სახლმა უმასპინძლა პოეტ ბადრი სულაძის წიგნის პრეზენტაციას;

სექტემბერი

- **9 სექტემბერს** გამართულ საერთო სახალხო დღესასწაულში „ონელობა“ მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „რაჭა“ და „ორბა“.

- **11 სექტემბერს** კულტურის სახლში გაერთიანებული კონცერტი გამართა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „თარიკონი“, რომელმაც ანსამბლ „რაჭასთან“ ერთად დაუვიწყარი საღამო აჩუქა ონელ მაყურებელს.

ოქტომბერი

- 1 ოქტომბერს ანსამბლმა „რაჭამ“ მონაწილეობა მიიღო სახალხო დღესასწაულში -„თბილისობა 2022“.

- **5** ოქტომბერს კულტურის სახლმა უმასპინძლა ევროპულ დელეგაციას პოლონეთიდან. მინი კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: ბერელიძეების ოჯახმა, ლოტბართა სკოლამ, ანსამბლმა რაჭამ და ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ორბა“.

- 5 ოქტომბერს ანსამბლმა "ორბა" (ხელმძღვანელი - გიორგი რეხვიაშვილი) მონაწილეობა მიიღო ევროპის სპორტული კვირეულის გახსნის ცერემონიაში. ანსამბლმა წარმოადგინა ე.წ .ფლეშმობი ქართული ქორეოგრაფიის ნიმუშების მიხედვით.
- 25 ოქტომბერს ფოკლორულმა ანსამბლმა „რაჭამ“ მონაწილეობა მიიღო სახალხო დღესასწაულში „ლეჩხუმობა 2022“.
- 27 ოქტომბერს გიგა ჯაფარიძის სახელობის ონის კულტურის სახლში გაიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო რაჭული გუდასტვირი, ახალგაზრდები გაეცნენ რაჭული გუდასტვირის შექმნის ისტორიას, მესტვირული პოეზიის ნიმუშებს. ახალგაზრდებს მესტვირე ბაკურ ჩიკვილაძემ წარუდგინა გუდასტვირი, ისაუბრა მის აგებულებაზე, საკუთარ გამოცდილებაზე, ტექნიკურ სირთულეებზე. ახალგაზრდებმა თავად სცადეს გუდასტვირზე დაკვრა.

- 28 ოქტომბერს, გიგა ჯაფარიძის სახელობის ონის კულტურის სახლში გაიმართა პოეტ, არნო ონელის (ალექსანდრე ბურდილაძის) პოეზიის საღამო. საღამოზე წარმოდგენილი იქნა არნო ონელის საბავშვო პოეზია და საბავშვო საესტრადო მუსიკა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ონის საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის და ონის საჯარო სკოლის პირველი კლასის აღსაზრდელები.

- 31 ოქტომბერს შალვა ჯაფარიძის სახელობის ფოლკლორული ანსამბლი "რაჭა" გასვლითი კონცერტით მთის რაჭის ულამაზეს სოფელს, ღებს ესტუმრა. კონცერტზე წარმოდგენილი იყო რაჭული, განსაკუთრებით ღებური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები. მაყურებელმა მოისმინა იუბილარი პოეტის მურმან ლებანიძის პოეტური ქმნილებები.

ნოემბერი

- 20 ნოემბერს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "ორბა" მონაწილეობა მიიღო დედაქალაქში ქორეოგრაფთა ეროვნული კავშირის მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე „გიორგობა-2022“. ანსამბლი "ორბა" ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სამი ცეკვით: ცეკვა "აფხაზური" "აჭარული" და "რაჭული".

- 8 ნოემბერს შალვა ჯაფარიძის სახელობის ფოლკლორულმა ანსამბლმა „რაჭა“ მონაწილეობა მიიღო ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მეორე ტურში და ლაურეატის სიგელები მოიპოვა.

- **დეკემბერი**
- 23 დეკემბერს, სახალხო თატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი "დაკრძალვა სახელმწიფო ხარჯით". პიესის ავტორი - თამაზ ჭილაძე, დამდგმელი რეჟისორი - ნინო ბერელიძე. სპექტაკლმა მაყურებელთა მოწონება დაიმასახურა.

- 29 დეკემბერს კულტურის სახლის სცენაზე გაიმართა ღვაწლმოსილი მსახიობის და მომღერალის, ელეონორა ნანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო ნოემბრის თვეში, მაგრამ ქალბატონი ელეონორას ავადმყოფობის გამო ღონისძიება გადაიდო.

- 29 დეკემბერს გაიმართა საახალწლო საღამო, სადაც მონაწილეობა მიიღო კულტურის სახლის შემოქმედებითმა წრეებმა და ონელ მაყურებელს დაუვიწყარი საღამო აჩუქა.

- 31 დეკემბერს კულტურის სახლმა უმასპინძლა და მონაწილეობა მიიღო სარაიონო საახალწლო საღამოში.

ა.(ა). ი.პ. ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის
დირექტორი მალხაზ ჯაფარიძე